

საპარლამენტო დედეგაცია ოფიციალურ ვიზიტით სერბეთში იმყოფება



საპარლამენტო დედეგაცია სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით სერბეთის დედაქალაქ ბეგრადს ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სერბეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერთან ვლადიმერ მარინკოვიჩთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ჟარკო ობრადოვიჩთან, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ნენად ჩანაკთან და საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან, დუბრაკა ფილიპოვსკისთან.

შეხვედრებისას მხარეები განიხილავენ საპარლამენტო და კომიტეტთაშორისი კავშირების გაღრმავების პერსპექტივებს, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთმხარდაჭერის საკითხებს და ამ კუთხით სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებებს. ასევე, საუბარი შეეხება სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე სერბეთის გამოცდილების გაზიარებას და ურთიერთობების გაღრმავებას ისეთი მიმართულებებით, როგორც არის ვაჭრობა, ეკონომიკა, ხალხთაშორისო კავშირები და სხვა.

„ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების ბევრი შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებით ეს ეხება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთმხარდაჭერას. შეხვედრებზე, ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა ამ კუთხით თანამშრომლობა და

საერთო მიზნების დასახვა იქნება. სერბეთს ასევე, აქვს საინტერესო გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გაზიარება“, – განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება, სადაც სოფიო ქაცარავა სიტყვით მიმართავს დამსწრე საზოგადოებას.

საქართველოს დერეგაციის შემადგენლობაში შედიან გიორგი ვოდსკი, გედევან ფოფხაძე და რამაზ ნიკორაიშვილი.